ავსტრია

- **ავსტრიის მიმართულებით გაგზავნილი** სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ გზავნილების გაცემის პუნქტებში.

- **ავსტრიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის** ჩაბარების ვადების ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი გაგზავნის დღიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ზალცბურგი, ინსბრუკი, ვენა, გრაცი, ლინცი	**14** კალენდარული დღე

- ავსტრიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების და გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	გაცემის პუნქტი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ზალცბურგი	Austria, zalcburgas, 5020, karl-wurmb-strabe 5	+4915510184426 +43 665 67146723	**სამშაბათი:** 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე
2.	ლინცი	Austria, Linz, 4020, Indrustriezeile 58	+4915510184426 +43 665 67146723	**ოთხშაბათი:** 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე
3.	ვენა	Austria, wien, 1100, Triester str. 10	+4915510184426 +43 665 67146723	**ხუთშაბათი:** 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე
4.	გრაცი	Karlauerstraße 26, 8020 Graz, Austria	+4915510184426 +43 665 67146723	**სამშაბათი:** 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე
5.	ინსბრუკი	Südtiroler Pl. 7, 6020 Innsbruck, Austria	+4915510184426 +43 665 67146723	**ორშაბათი:** 17:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე

გასათვალისწინებელია: **სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქებში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქების მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.**

- **ავსტრიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება** (გარდა მედიკამენტებისა), გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე

1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი/ადრესატი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.

- მედიკამენტების ცალკე გზავნილის სახით გაგზავნა არ მოითხოვება, მათი გაგზავნა შესაძლებელია სხვა გასაგზავნ ნივთებთან ერთად და შემდეგი რაოდენობით:

❖ მედიკამენტების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შეფუთვით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:

ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) ფირფიტას;

ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.

- ავსტრიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის ფასდადებით გაგზავნა არ ხორციელდება.

საქართველოდან გაგზავნის ტარიფები:

ამანათის გაგზავნის ადგილი		*ამანათის შიგთავსის სახეობა*	*წონა*	*გადამხდელი*	*ფასი*
ავსტრია	**ინსბრუკი, ზალცბურგი, ვენა, გრაცი, ლინცი**	პირობებით დაშვებული ნებისმიერი საქონელი, გარდა მედიკამენტებისა	5 კგ-მდე	გამგზავნი	**88 ლარი**
			5 კგ-ზე მეტ თითოეულ კილოგრამზე	გამგზავნი	**17.6 ლარი**
		მედიკამენტები	300 გრ	გამგზავნი	**17.6 ლარი**